ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75.75212212**
თარიღი:**09/08/2021**

2021 წლის 02 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებთან დაკავშირებით თვითმმართველი ერთეულის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით საარჩევნო სუბიექტებზე შენობა-ნაგებობების უსასყიდლოდ გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმრათველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

2021 წლის 02 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებთან დაკავშირებით თვითმმართველი ერთეულის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით, უსასყიდლოდ გამოიყოს, ტყიბულის კულტურის ცენტრის შენობა (მისამართი: ქალაქი ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №5) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობა (მისამართი: ქალაქი ტყიბული, თაყაიშვილის ქუჩა №3).

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს თემურ ძაგნიძეს.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონდებლობის შესაბამისად.

ნატალია კობახიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი